სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 7 20 00000024

23/03/2020

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის დეულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს N176/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის #62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N311640, 20.03.2020წ.) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. თანდართული დანართის შესაბამისად დამტკიცდეს საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშის ფორმები;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

-

გენერალური დირექტორი
გაბისონია ზვიად